„ვამტკიცებ“
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო
უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის“
დირექტორი მ. ტვილდიანი
ბრძანება № 08; 16.09.2017 წ

ცვლილებები:

დირექტორის 2018 წლის 07 ივნისის ბრძანება N 08. განახლებული რედაქცია

პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 1. პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის კაბინეტი

კოლეჯში სტრუქტურული ერთეულის სახით შექმნილია პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის სამსახური, შემდგომში პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და დასაქმებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას;

მუხლი 2. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის სამუშაო ადგილი/დრო

1. პროფესიული სტუდენტები და დასაქმებულები ინფორმირებულნი არიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის მდებარეობისა (ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N 117, მესამე სართული, ოთახი N 16) და მუშაობის შესახებ;
2. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი მუშაობს ყოველ სასწავლო-სამუშაო დღეს: ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, 10:00 - დან 17:00 სთ მდე;

მუხლი 3. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის ფუნქციონირებაზე პასუხიმგებელი პირი

1. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის ფუნქციონირებას, პროფესიული სტუდენტებისა და დასაქმებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, უზრუნველყოფს - ექთანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

2. პირველადი სამედიცინო დახამრების ექთანი შეიძლება იყოს შესაბამისი უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომი.
3. ექთანი პასუხისმგებელია კაბინეტში განთავსებულ მატერიალურ ფასეულობებზე, მათი შენახვის/გამოყენების წესების დაცვაზე.

მუხლი 4. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტში არსებული სამედიცინო საშულებები

1. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტი დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებებით, მოწყობილია ავადმყოფის მიღების საშუალებები.
2. გარდა სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებებისა კაბინეტში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო - სამედიცინო ინვენტარი.
3. კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებებისა და ჰიგიენის ნივთების, სამედიცინო ინვენტარის შეძენა/შეცვლა/დამატებას უზრუნველყოფს დაწესებულება, ექთნის წინადადებების გათვალისწინებით.

დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტის
სსმ. საბჭოს კრებული

მუხლი 5. სარეგისტრაციო ჟურნალი

ექთანი აწარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და გამოყენებული სამედიცნო საშუალებების აღრიცხვის, სათანადო წესით დალუქულ, სარეგისტრაციო ჟურნალს.

მუხლი 6. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის ექთნის უფლებები და მოვალეობები

1. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის ექთანი უფლებამოსილია:

ა) კოლეჯის ადმინისტრაციას მოსთხოვოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებების ან/და სამედიცინო ინვენტარის შეძენა (როგორიცაა: წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი (არსებობის შემთხვევაში აკონტროლოს მათი გამართული ფუნქციონირება), ჰიგიენის ნივთების და განსაზღვროს პირველადი დახმარებისათვის საჭირო სამედიცინო საშუალებების ნუსხა);

ბ) განახორციელოს მონიტორინგი სველი წერტილებისა და სასადილოს ჰიგიენურ მდგომარეობაზე, აგრეთვე კოლეჯის შენობისა და ეზოს დასუფთავებაზე.

გ) შეიმუშაოს და წარუდგინოს დირექტორს წინადადებები კაბინეტის ფუნქციონირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

2. პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტის ექთანი ვალდებულია:

ა) პროფესიულ სტუდენტებსა და დასაქმებულებს აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ხოლო თუ საჭიროა ისეთი სამედიცინო ჩარევა, რაც სცილდება მის კომპეტენციას, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რომლის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს როგორც ადმინისტრაციის, ასევე სტუდენტის ოჯახის წევრების ინფორმირება;

ბ) უზრუნველყოს, კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის, კომპტენციის ფარგლებში, ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით კონსულტაციების გაწევა, პირადი ჰიგიენისა და ზოგადად ვირუსული ინფექციისაგან დაცვის პირველადი ღონისძიებების შესახებ;

გ) აკონტროლოს კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა, სათანადო წესით შენახვის წესების დაცვა და ვარგისიანობა, სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება;

დავით ტვილდიანის
საბედიცინო უნივერსიტეტის
სსიპ. ფაქულტეტი ვოლეჯი

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.
2. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ასევე დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. დებულება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე და მისი შესრულების კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ადმინისტრაცია.